

“ზურთით იწყება ოცნების ასრულება“ - კამპანიის წესები და პირობები

1. ზოგადი პირობები

- 1.1 წინამდებარე კამპანიის, „ზურთით იწყება ოცნების ასრულება“ (შემდგომში - კამპანია), წესებს და პირობებს განსაზღვრავს: Mastercard Europe SA (შემდგომში „დამკვეთი“), რეგისტრირებული მისამართი: შოსე დე ტერვურენი 198A, 1410 ვატერლო, ბელგია;
- 1.2 კამპანიის ორგანიზატორი: საერთაშორისო სარეკლამო კომპანია “McCann Erickson”-ის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში შპს „McCann Erickson“, (შემდგომში - ორგანიზატორი), რეგისტრირებული მისამართით: ქ.თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი #71;
- 1.3 პარტნიორი ბანკი: სს საქართველოს ბანკი, ს/კ: 204378869 (შემდგომში - ბანკი), რეგისტრირებული მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ი.გაგარინის ქუჩა 29ა

კამპანია ტარდება საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) მიერ ემიტირებული **Mastercard-ის** ყველა ტიპის ბარათების (შემდგომში - ბარათი) გამოყენებით უნაღდო ანგარიშსწორებისას საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებში და ონლაინ შესყიდვებისას.

2. კამპანიაში მონაწილე პირები

- 2.1. კამპანიაში მონაწილეობის უფლება აქვთ ფიზიკურ პირებს (შემდგომში - მონაწილე), რომლებიც არიან:
 - 2.1.1. 18 წელს ზევით;
 - 2.1.3. საქართველოს მოქალაქეები;
 - 2.1.4. ბანკის მიერ ემიტირებული მასტერქარდის ტიპის, აქტიური ბარათის მფლობელები.
- 2.2. კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან პირები:
 - 2.2.1. რომლებიც არ აკმაყოფილებენ 2.1 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
 - 2.2.2. ბანკის თანამშრომლები;
 - 2.2.3. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებებში მონაწილეობის მიღებ;
 - 2.2.4. იურიდიული პირები

3. კამპანიის მოქმედების ვადა

- 3.1. კამპანიის ჩატარების პერიოდია 2018 წლის 7 მარტიდან 2018 წლის 23 აპრილის ჩათვლით.
- 3.2. კამპანია ტარდება 4 ეტაპად:
 - 3.2.1. პირველი ეტაპი - 07.03.18-დან 18.03.18-ის ჩათვლით (აქციის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
 - 3.2.2. მეორე ეტაპი - 19.03.18-დან 30.03.18-ის ჩათვლით (აქციის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
 - 3.2.3. მესამე ეტაპი - 31.03.18-დან 11.04.18-ის ჩათვლით (აქციის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);
 - 3.2.4. მეოთხე ეტაპი - 12.04.18-დან 23.04.18-ის ჩათვლით (აქციის ყოველი დღე 00:00-დან 23:59-მდე);

4. გამარჯვებული მონაწილეების განსაზღვრის პირობები

- 4.1. კამპანიაში გამარჯვებულად ჩაითვლება მონაწილე, რომელიც შესაბამისი ეტაპის განმავლობაში „ბანკის“ „ბარათით“ განახორციელებს ყველაზე მეტ ტრანზაქციას (თითო ტრანზაქცია მინიმუმ 10 ლარის), (შემდგომში - გამარჯვებული), ხოლო მთავარ გამარჯვებულად - მონაწილე, რომელიც კამპანიის მთელი პერიოდის განმავლობაში შეასრულებს ყველაზე მეტ ტრანზაქციას (მინ. 10 ლარი თითო) შემდგომში - მთავარი გამარჯვებული).
- 4.2. იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე მონაწილეს (როგორც გამარჯვებულის შემთხვევაში, ასევე მთავარი გამარჯვებულის შემთხვევაში) აქვს თანაბარი რაოდენობის გადახდები უპირატესობა მიენიჭება იმ მონაწილეს, რომელმაც დროში პირველმა შეასრულა ტრანზაქცია.
- 4.3. ყოველი კვირის ბოლოს, ბანკის ვებ-გვერდის საშუალებით (www.bankofgeorgia.ge) გამოქვეყნდება რეიტინგი (მიმდინარე პერიოდისთვის 5 ლიდერი პოზიცია ტრანზაქციათა რაოდენობის მიხედვით).
- 4.4. კამპანია ეფუძნება გარანტირებული მოგების პრინციპს: ყველაზე აქტიური მონაწილე, რომელსაც ყოველ ეტაპზე/კამპანიის პერიოდში ექნება ყველაზე მეტი ტრანზაქცია, მოიგებს გარანტირებულ საჩუქრებს.
- 4.5. ყოველ ეტაპზე განისაზღვრება 250 (ორას ორმოცდაათი) გამარჯვებული, რომლებსაც საშუალება ექნება მიიღონ საჩუქარი.
- 4.6. მთელი კამპანიის განმავლობაში გამოვლინდება მთავარი საჩუქრის მხოლოდ ერთი გამარჯვებული

- 4.7. მთავარი გამარჯვებული გამოვლინდება 2018 წლის 26 აპრილს.
- 4.8. ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილია განსაზღვროს მთავარი გამარჯვებული განმეორებით, თუ არსებობს ეჭვი ან/და იკვეთება მთავარი გამარჯვებულის მხრიდან ნებისმიერი სახის ფალსიფიკაციის ფაქტი.
- 4.9. მონაწილე, რომელიც 2016-2017 წლებში, Mastercard-ის კამპანიის მთავარი პრიზის გამარჯვებული იყო, ვერ გახდება წინამდებარე კამპანიის მთავარი გამარჯვებული.
- 4.10. გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება ყოველი ეტაპის დასრულების მომენტისათვის ყველაზე მეტი ტრანზაქციის მქონე ბარათის ადიარებით. გამარჯვებულ მონაწილესთან დაკავშირება მოხდება **სს საქართველოს ბანკის მიერ**, პრიზის მიღების ვადისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოხდება პირადი სატელეფონო ნომერის საშუალებით (რომელიც მითითებულია ბარათის რეგისტრაციისას). ინფორმაცია გამარჯვებულის გამოვლინების შესახებ, გამოქვეყნდება კამპანიის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის შემდეგ, ბანკის ვებ გვერდზე: www.bankofgeorgia.ge.

5. კამპანიის პირობები

- 5.1. კამპანიაში მონაწილეობისათვის საჭიროა მონაწილემ განხორციელდეს ბარათით უნაღდო ანგარიშსწორება ნებისმიერი პოს-ტერმინალის საშუალებით სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში ან განახორციელოს ონლაინ შესყიდვა, ორივე შემთხვევაში მინიმუმ 10 (ათი) ლარის (ეკვივალენტი სხვა ვალუტაში) თანხის ოდენობით.
- 5.2. კამპანიაში მონაწილეობას არ იღებს ის ტრანზაქციები, რომელთა გაუქმებაზე ან დაბრუნებაზე ბანკმა მიიღო შესაბამისი შეტყობინება.
- 5.3. მონაწილე, რომელიც ერთხელ მიიღებს საჩუქარს ეთიშება შემდეგი ეტაპის გათამაშებას, თუმცა აგრძელებს მონაწილეობას კამპანიაში მთავარი საჩუქრის მისაღებად.
- 5.4. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში გამორიცხოს მონაწილე კამპანიიდან მონაწილის მიერ კამპანიის წესების კეთილსინდისიერად შესრულების ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ან მონაწილის მიერ კამპანიის წესების განზრახ დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში.
- 5.5. მთავარმა გამარჯვებულმა უნდა გამოიყენოს მთავარი საჩუქარი, ანუ განახორციელოს მოგზაურობა ერთ ჯერზე 24.05.2018-26.05.2018 პერიოდში.

6. კამპანიის საპრიზო ფონდი

- 6.1. კამპანიის საპრიზო ფონდი ითვალისწინებს ბრენდირებული ოთხი სახეობის საჩუქარს (შემდგომში - საჩუქარი):
 - 6.1.1. წელის ჩანთა - 250 ცალი;
 - 6.1.2. მაისური - 250 ცალი;
 - 6.1.3. ჟაკეტი - 250 ცალი;
 - 6.1.4. ბურთი - 250 ცალი;
- 6.2. აქციის მთავარი საჩუქარია მოგზაურობა ორ კაცზე UEFA Champions League Final Kyiv 2018- ზე (შემდგომში – მთავარი საჩუქარი).
- 6.3. მთავრი საჩუქარი მოიცავს ორ ადამიანზე:
 - 6.3.1. ავიაბილეთებს;
 - 6.3.2. ცხოვრებას სასტუმროში 4 ან 5* (კვებით);
 - 6.3.3. ტრანსფერს აეროპორტიდან სასტუმრომდე და სასტუმროდან აეროპორტში (კიევში);
 - 6.3.4. სამოგზაურო დაზღვევას;
 - 6.3.6. UEFA Champions League Final Kyiv 2018-ზე დასასწრებ ბილეთებს (ბილეთს გადმოგცემთ Mastercard®, UEFA Champions League-ის ოფიციალური სპონსორი)

7. საჩუქრების მიღების პირობები

- 7.1. გამარჯვებულისათვის საჩუქარის გადაცემა განხორციელდება, გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 7.2. გამარჯვებული 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში, ხოლო მთავარი გამარჯვებული 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა ბანკისგან მიიღებს შეტყობინებას მოგების შესახებ, უნდა გამოცხადდეს ბანკის მიერ განსაზღვრულ მისამართზე და წარადგინოს ID ბარათი ან საერთაშორისო პასპორტი.
- 7.3. მთავარმა გამარჯვებულმა 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ბანკი შეატყობინებს მას, რომ იგი მთავარი გამარჯვებულია, ორგანიზატორს უნდა გაუგზავნოს შემდეგი დოკუმენტები:
 - 7.3.1. მისი და მისი თანხმლები პირის საერთაშორისო პასპორტის (მოქმედების ვადით მინიმუმ 6 თვე მოგზაურობის თარიღიდან) ყველა გვერდი;

- 7.3.2. განცხადება აქციის მთავარი საჩუქრის მიღების თანხმობაზე;
- 7.4. იმ შემთხვევაში თუ მთავარ გამარჯვებულს თან ახლავს 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დამატებით უნდა წარადგინოს:
 - 7.4.1. არასრულწლოვანის დაბადების მოწმობის ასლი, ინგლისურად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული
 - 7.4.2. საქართველოს ფარგლებს გარეთ არასრულწლოვანის გაყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- 7.5. მიწოდებული დოკუმენტების ვალიდურობასა და სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ გამარჯვებულს. დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო.
- 7.6. ბანკი/ორგანიზატორი უფლებამოსილია მთავარ გამარჯვებულს მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა მთავარი საჩუქრის მიღების მიზნებისათვის.
- 7.7. დოკუმენტების შესაბამის ვადაში წარუდგენლობის, არასრული ან/და არასათანადო დოკუმენტების წარდგენის ან იმ შემთხვევაში თუ არსებობს ეჭვი, რომ დოკუმენტები ყალბია მთავარ გამარჯვებულს ავტომატურად ართმევს მთავარი გამარჯვებულის სტატუსს და იგი ეთიშება კამპანიას.
- 7.8. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს არ გააჩნია შესაძლებლობა/გამოყენების სურვილი მიიღოს საჩუქარი იმ მიზეზით, რომელიც არ არის დამოკიდებული ორგანიზატორზე/ბანკზე, ორგანიზატორი/ბანკი არ გადაუხდის გამარჯვებულს/მთავარ გამარჯვებულს რაიმე სახის კომპენსაციას.

8. სხვა პირობები

- 8.1. ორგანიზატორი/ბანკი არ აგებს პასუხს მონაწილეების მიერ საჩუქრის/მთავარი საჩუქრის შემდგომი გამოყენების მიმართ, მათი მიღების შემდეგ, მონაწილეთა მიერ საჩუქრის/მთავარი საჩუქრის გამოყენების შეუძლებლობაზე ნებისმიერი მიზეზით, ასევე მათი გამოყენების შესაძლო შედეგებზე.
- 8.2. ორგანიზატორი/ბანკი არ აგებს პასუხს მონაწილის ან/და მისი თანმხლები პირების საზღვარგარეთ გასვლის შეუძლებლობაზე, რეისების გაუქმებაზე ან გადადებაზე. მოგზაურობის დაწვრილებით პირობებს ორგანიზატორი ადგენს საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 8.3. მოგზაურობის განხორციელებისას ყველა დამატებით ხარჯს საკუთარი ხარჯით ფარავს მთავარი გამარჯვებული.
- 8.4. კამპანიაში მონაწილეობა ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მონაწილე გაეცნო და ეთანხმება კამპანიის პირობებს.
- 8.5. მონაწილის მხრიდან კამპანიის პირობების, ბანკის/ორგანიზატორის შეხედულებისამებრ დარღვევის შემთხვევაში მონაწილე ავტომატურად ეთიშება კამპანიას. ამასთან, მონაწილეს არ აქვს უფლება ორგანიზატორისაგან/ბანკისაგან/მესამე პირისგან მოითხოვოს რაიმე სახის

კომპენსაცია.

- 8.6. გადაწყვეტილებას მონაწილეების მიერ კამპანიაში შემდგომი მონაწილეობის დაუშვებლობაზე საკუთარი შეხედულებისამებრ იღებს ორგანიზატორი/ბანკი. მონაწილეები, რომელთა მიმართ იქნა მიღებული გადაწყვეტილება კამპანიაში შემდგომი მონაწილეობის დაუშვებლობაზე, გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მიუხედავად იმისა მათ მიღებული აქვთ თუ არა საჩუქარი, კარგავენ უფლებას საჩუქრის მიღებაზე.
- 8.7 კამპანიაში მონაწილეები კამპანიაში მონაწილეობით თანხმობას აცხადებენ მათი ფოტო/ვიდეოს გამოყენებაზე
- 8.8. ორგანიზატორი/ბანკი ან/და მათ მიერ განსაზღვრული მესამე პირები არ აგებენ პასუხს საჩუქრებზე, მათ ხარისხზე და მთლიანობაზე საჩუქრის გამარჯვებულისათვის/მთავარი გამარჯვებულისათვის გადაცემის შემდეგ.

9. კამპანიის ინფორმირების წესი

- 9.1. კამპანიის პირობები და სხვა დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.bog.ge
- 9.2. ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ ან/და ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განსაზღვროს კამპანიის დამატებითი პირობები/წესები. შეცვლილ წესებს და პირობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განახლებს ვებ-გვერდზე: www.bog.ge